



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორის ბრძანება



№ 11540/21

30/12/2016

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის აუდიტორული საქმიანობის
წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ი“ და „ყ“ ქვეპუნქტებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2015 წლის 30 დეკემბრის №11539/30 ოქმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

გენერალური აუდიტორი
ლაშა თორდია